თბილისის სამედიცინო აკადემია ელექტრონული გაზეთი

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ თბილისის სამედიცინო აკადემიამ (თსა) ელექტრონული გაზეთის გამოქვეყნება დაიწყო. მისი მიზანია უკეთ გაგაცნოთ აკადემია და ყოველსემესტრულად მოგაწოდოთ ინფორმაცია თსა-ს სიახლეების შესახებ.

ამჯერად, გიზიარებთ ინფორმაციას თსა-ში 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
საზოგადებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

ამ გამოცემაში:

- **განათლება და პარტნიორობები**
- **თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა**
- **სტუდენტური ცხოვრება**

განათლება და პარტნიორობები

CIMED - სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრი

2021 წლიდან თსა-ში ჩამოყალიბდა სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრი (CIMED). მისი მიზანია თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების განახლების პროცესში სწავლა-სწავლების ინოვაციური სტრატეგიების დანერგვა; სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზე (self-directed learning) დაფუძნებული სწავლების იმპლემენტაცია და საბაზისო და კლინიკურ სასწავლო კურსებს შორის ინტეგრაციის უზრუნველყოფა. CIMED-ს ხელმძღვანელობენ ანტვერპენის უნივერსიტეტის (ბელგია) პროფესორები სამედიცინო განათლების მიმართულებით იოუკ დენეკენსი და ჰერმან ვან როსემი.

2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში CIMED-ის ორგანიზებით ჩატარდა ინტეგრაციის სამი კვირეული. ამ აქტივობების მიზანი იყო მოდულის (ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია) ფარგლებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია და მისი გამოყენება კლინიკური პრობლემის გასაცნობიერებლად. კვირეული მოიცავდა სტუდენტების შეხვედრას რეალურ პაციენტებთან და სიმულაციური პლატფორმის გამოყენებას. კვირეულის ბოლო ეტაპზე გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების (TBL) სესია გაიმართა. სესიის მიზანი იყო სტუდენტებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების, გუნდში მუშაობის, კომუნიკაციის უნარისა და კლინიკური მსჯელობის უნარის განვითარება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების სწავლება. აღნიშნულ აქტივობებს წინ უძღოდა მოდულის განმახორციელებელი პედაგოგების ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები.

საჯარო ლექციები

თსა-ს ორგანიზებით, სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის იმართება საჯარო ლექციები და სემინარები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.
თსა-ს პროფესორმა გიორგი ბოჭორიშვილმა მედიცინის სკოლის სტუდენტებისთვის, თსა-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე, ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: "უროლოგია: წარსული, აწმყო, მომავალი".
„ენდოკარდიტი - ST-ელევაციური ინფარქტის იშვიათი მიზეზი; კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული საბაზისო მიმოხილვა“ იყო ონლაინ სემინარის მთავარი თემა, რომელსაც უძღვებოდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გერმანიის ქალაქ შტუდგარტის კლინიკის კარდიოლოგიის განყოფილების უფროსი, კარდიოლოგი რევაზ ჯორბენაძე.

სემინარზე განიხილეს ენდოკრადიტთან დაკავშირებული როგორც სამეცნიერო, ასევე კლინიკური ინფორმაცია, დიაგნოსტიკისა და მართვის თანამედროვე მიდგომები, ST-ელევაციური ინფარქტის ტიპით გამოვლენილი ენდოკარდიტის შემთხვევის ანგარიში (ე.წ. case report).

განათლება და პარტნიორობები

მემორანდუმები ახალ უნივერსიტეტებთან

თსა-მ გააფორმა მემორანდუმები თურქეთის ოთხ წამყვან უნივერსიტეტთან:

- სტამბოლის უნივერსიტეტი-ჯერაჰფაშა (სტამბოლი);
- ათათურქის უნივერსიტეტი (ერზურუმი);
- ლოქმან ჰექიმის უნივერსიტეტი (ანკარა);
- საქარიის უნივერსიტეტი (საქარია).

თურქეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა თსა-ს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციას შესაძლებლობას მისცემს მიიღონ როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული გამოცდილება.

AMEE - თსა-ს თანამშრომლებმა სამედიცინო განათლების სპეციალისტის სტატუსი მოიპოვეს

თსა-ს პროგრამის ხელმძღვანელმა ცისანა ლომაშვილმა, აკადემიურმა პერსონალმა ია ხახუტაიშვილმა და მაკა ზარნაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „სამედიცინო განათლების ძირითადი უნარ-ჩვევები“ და სამედიცინო განათლების სპეციალისტის სტატუსი მოიპოვეს.

სიმპოზიუმი “პერსონალიზებული მედიცინა”

თსა-ს სტუდენტური სამეცნიერო კლუბისა და ათათურქის უნივერსიტეტის სტუდენტების ორგანიზებით პერსონალიზებული მედიცინის საკითხებზე გაიმართა სიმპოზიუმი. ქართველმა და თურქმა სტუდენტებმა მიმოიხილეს შემდეგი თემები:

- პერსონალიზებული პრაქტიკის უპირატესობები, ავატარი თაგვის მოდელები და პერსონალიზებული მედიცინა
- OMICS მეცნიერებები - წარმოადგენს მონაცემებს პერსონალიზებული მედიცინისათვის
- სუიციდთან და დეპრესიულ აშლილობასთან ასოცირებული ბიომარკერები
- ნუტრიგენომიკსი
- პოპულაცია-სპეციფიური ფარმაკოგენომიკა შემდეგი თაობის სექვენირების ეპოქაში



განათლება და პარტნიორობები

SAFEMED+

2020 წელს ERASMUS+-ის საგრანტო კონკურსში დაფინანსდა თსა-ს მიერ კოორდინირებული სამ წლიანი პროექტი "SAFEMED+" (Simulation in Undergraduate Medical Education for Improvement of Safety and Quality of Patient Care), რომელსაც ახორციელებს ცხრა უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმი. პროექტში მონაწილეობს საქართველოს, ლიეტუვის, ესპანეთის, იტალიის, სომხეთის, უკრაინის უმაღლესი სამედიცინო უნივერსიტეტები და პროექტის მიზანია კომპეტენციაზე დაფუძნებული სამედიცინო სიმულაციური სწავლების დანერგვა და განვითარება მონაწილე უნივერსიტეტებსა და ქვეყნებში. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოცდების უზრუნველსაყოფად, თსა-ში OSCE-ის კომიტეტი ჩამოყალიბდა. სტუდენტების სამედიცინო კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით კი, თსა-მ კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრისთვის შეიძინა სამედიცინო მანეკენები, სიმულატორები. ასევე, ცენტრში განახლდა აუდიო/ვიდეო დაკვირვების სისტემა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში თსა-ს დელეგაცია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების - OSCE (Objective Structured Clinical Examination) სრულყოფისა და იმპლემენტაციის მიზნით იტალიაში, კატანიის უნივერსიტეტში და ესპანეთში, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტებით იმყოფებოდა, სადაც ჩატარდა ტრენინგები და მონაწილეები დაესწრნენ სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში მიმდინარე OSCE-ის გამოცდას.

CIMED-ის ხელმძღვანელების ვიზიტი თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიას სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრის (CIMED) ხელმძღვანელები, პროფესორები იოუკ დენეკენსი და ჰერმან ვან როსემი (ანტვერპენი, ბელგია) სტუმრობდნენ.
ხუთ დღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან. კურიკულუმის კომიტეტის წევრებთან, სამეცნიერო - კვლევითი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან. მხარეებმა ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე, მიღწევებზე და სამომავლო გეგმებზე. ცენტრის ხელმძღვანელებმა ასევე ჩაატარეს ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თსა-ს ლექტორებისათვის.

განათლება და პარტნიორობები

თანამშრომელთა მობილობის Erasmus+-ის პროგრამა

პროგრამა განკუთვნილია პედაგოგებისათვის და ხორციელდება Erasmus+ პროექტის ფარგლებში. იგი გულისხმობს თსა-ს პედაგოგების ვიზიტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში სხვადასხვა ქვეყანაში (ბელგია, ნიდერლანდები, პოლონეთი, თურქეთი) გამოცდილების მიღებისა და შემდგომში ქართველი კოლეგებისთვის გაზიარების მიზნით.

ვიზიტი ანტვერპენის უნივერსიტეტში
ამ ინიციატივის ფარგლებში, თსა-ს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია ანტვერპენის უნივერსიტეტს (ბელგია). ვიზიტის მიზანი იყო ბელგიელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება და მათგან რეკომენდაციების მიღება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზების, შეფასების, სტანდარტული პაციენტების შერჩევისა და მომზადების შესახებ.

ვიზიტი გრანადას უნივერსიტეტში
თანამშრომელთა მობილობის პროგრამის ფარგლებში, თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ვიზიტით იმყოფებოდა გრანადას უნივერსიტეტში (ესპანეთი), სადაც სამუშაო შეხვდრები გამართა კოლეგებთან, გამოცდლების გაზიარების და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით.

რადბაუდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა
რადბაუდის უნივერსიტეტი (ნაიმეგენი, ნიდერლანდები) თსა-ს ხანგრძლივი და სტრატეგიულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. არსებული პარტნიორობა მოიაზრებს თსა-ს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მოკლევადიან მივლინებას რადბაუდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის მრავალფეროვან კურსზე.

მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის განმავლობაში, პროგრამაში მონაწილეობა მიიღო თსა-ს პერსონალის ექვსმა თანამშრომელმა. ტრენინგ-კურსების თემები თავად შეარჩიეს აკადემიის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისად, რაც მოიცავდა შემდეგს:
1) სოციალური კვლევის მეთოდები - ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი;
2) მულტი-მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში: პლურალისტული შემთხვევების კვლევის დიზაინი;
3) ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები: შენარჩუნება, დიფერენცირება და გამოყენება რეგენერაციულ მედიცინაში;
4) "საკუთარი გზის არჩევა" ვიქტორ ფრანკლის დანატოვარი თანამედროვე ფსიქიატრიაში და სულიერებაში;
5) ტვინი, ბაქტერია და ქცევა: ნაწლავისა და ტვინის ღერძის გაგება და შესავალი ;
6) ავტომატიზირებულ სწავლებაში R და R studio-ს მეშვეობით.

განათლება და პარტნიორობები

ITC2022

თსა-ს მონაწილეობით და მხარდაჭერით ჩატარდა „დერმატოლოგიისა და ესთეტიკური მედიცინის მესამე საერთაშორისო ტრანსკავკასიური კონგრესი - ITC2022". კონგრესი მიზნად ისახავდა მონაწილეთათვის სამედიცინო და ესთეტიკური დერმატოლოგიის საკითხებზე უახლესი სამეცნიერო მონაცემების, გამორჩეული ექსპერტების პირადი გამოცდილებისა და დარგის სხვადასხვა ასპექტის გაცნობას. ღონისძიება ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი MG-ISE-22-125). მას მინიჭებული აქვს „უწყვეტი სამედიცინო განათლების ევროპული აკრედიტაციის საბჭო"-ს (EACCME®) აკრედიტაცია.

AMEE-ს კონფერენცია ლიონში

მედიცინა - ხელოვნებაში ასახული ისტორია

მეცნიერების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდების კვლევით დაინტერესების მიზნით, თსა ახორციელებს სკოლის მოსწავლეებისათვის პროექტს "მედიცინა - ხელოვნებაში ასახული ისტორია". პროექტი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების XI-XII კლასის მოსწავლეთათვის მედიცინის საკითხებზე ინტერაქციული ლექცია-სემინარების და თსა-ს ლაბორატორიაში მარტივი ექსპერიმენტების ჩატარებას.

პროექტი "მედიცინა - ხელოვნებაში ასახული ისტორია" დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2021 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციაზე (AMEE 2022), რომელიც აგვისტოში, ლიონში (საფრანგეთი) გაიმართა, თსა-მ ორი თემა წარადგინა:

"ვირტუალური პაციენტის სიმულატორები, როგორც ელექტრონული ჯანდაცვის საპილოტე პროგრამა მედიცინის სასწავლო გეგმაში"
- ზეპირი პრეზენტაცია - დეა გოდერძიშვილი, ეკა კლდიაშვილი;

"თვითრეფლექსიის გავლენა სწავლების საბაზისო ეტაპზე, სტუდენტების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში"
- ელექტრონული პოსტერი - მაკა ზარნაძე.

კონფერენციაში მონაწილეობდა 90 სამედიცინო სკოლა მთელი მსოფლიოდან.

განათლება და პარტნიორობები

ინტერვიუ CIMED-ის ხელმძღვანელებთან - პროფ. იოუკ დენეკენსთან და პროფ. ჰერმან ვან როსემთან

“თსა-ს გუნდი მუშაობს ახალ კურიკულუმზე, კონსტრუქციული დიალოგის, ავთენტური პრობლემებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ეს არის საუკეთესო გუნდი, რომელთანაც ჩვენ ამ მომენტში ვმუშაობთ, სწორედ ასეთია თსა დღეს” - აღნიშნავს CIMED-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პროფესორი იოუკ დენეკენსი, რომელიც თსა-ში ვიზიტსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება.
ინტერვიუ სრულად:
https://tma.edu.ge/geo/newsdet.php?cat=1212

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

აკადემიისთვის, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, მნიშვნელოვანია ჩართული იყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში. ამ მიზნით, თსა-ს სტუდენტების ორგანიზებითა და მონაწილეობით იმართება კონფერენციები, ვორკშოპები, გამოფენები.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თსა-მ უმასპინძლა ორგანიზაცია „მზის შვილების“ წარმომადგენლებსა და ბენეფიციარ ბავშვებს. სტუმრებმა სტუდენტებთან ისაუბრეს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების მიმართ სტერეოტიპების დაძლევის აუცილებლობაზე.

შეხვედრაზევე გაჩნდა თანამშრომლობის გაძლიერების იდეა. სტუდენტების სურვილით, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც გამოხატა მზაობა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობა განახორციელონ „მზის შვილების“ ბენეფიციარ ბავშვებთან ერთად, რაც დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

თავის ტვინის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

რა აკავშირებს ერთმანეთთან ნაწლავსა და თავის ტვინს? რა გავლენის მოხდენა შეუძლია ნაწლავის მიკრობიომს ჩვენს განწყობაზე, ქცევაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე? - ამ საკითხებთან დაკავშირებით თსა-ს სტუდენტური სამეცნიერო კლუბის ორგანიზებითა და სტუდენტების ჩართულობით, დისკუსია გაიმართა, რომელიც თავის ტვინის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეს მიეძღვნა. ნაწლავური მიკროფლორა ისეთი ფსიქიკური დაავადებების განვითარების მომატებულ რისკთან კორელირებს, როგორიცაა პარკინსონის დაავადება, ალცჰაიმერის დაავადება, დეპრესია და აუტიზმი. სწორედ ამ თემების შესახებ წარმოადგინეს სტუდენტებმა პრეზენტაციები და განიხილეს უახლესი მონაცემები ამ ახალი და საინტერესო მიმართულებით.

ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თსა-ს სტუდენტების მონაწილეობით რეფლექსიური სესია და მინი-ვორქშოპი გაიმართა. წლევანდელი თემაა "ჩვენი პლანეტა, ჩვენი ჯანმრთელობა". სწორედ ამ თემის გარშემო წარმოადგინეს პრეზენტაციები მედიცინის სკოლის დეკანმა და ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. პრეზენტაციების დასრულების შემდგომ სტუდენტებმა ერთობლივად ჩამოაყალიბეს კონკრეტული აქტივობები თსა-ში პლანეტარული ჯანმრთელობის დღის წესრიგის შესამუშავებლად.

აუტიზმის მსოფლიო დღე

თსა-ს ეზოში ახალგაზრდა ფოტოგრაფის, სანდრო დარსაველიძის პერსონალური გამოფენა გაიმართა, რომელიც აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეს მიეძღვნა. სანდრო აუტისტური სპექტრის მქონე ახალგაზრდაა, რომელიც თავის ემოციებს ფოტოებით გადმოსცემს. მისი ხელოვნება ასახავს ქალაქის რიტმს და ლანდშაფტს, საინტერესოდ გამოხატავს სოციალურ თემატიკას. აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ახალგაზრდა ფოტოგრაფის შემოქმედებას. სანდრომ საკუთარი ნამუშევრები საჩუქრად გადასცა აკადემიას.

დახმარება ტერნოპილის უნივერსიტეტისათვის

რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების განვითარებამ განსაკუთრებული სიმწვავით წარმოაჩინა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისადმი სოლიდარობის აუცილებლობა.
თსა-ს თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც აქტიურ კომუნიკაციაში იყო პარტნიორი ტერნოპილის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

მათთან კოორდინაციით აკადემიამ შეიძინა სხვადასხვა სახის სამედიცინო სახარჯი მასალა, რომელიც გაიგზავნა უკრაინაში, ტერნოპილის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

მსოფლიო თამბაქოს გარეშე

თსა-ს პირველი პოდკასტი ცნობიერების ამაღლების კამპანიას მიძღვნა. "მსოფლიო თამბაქოს გარეშე" პოდკასტის მონაწილეები იყვნენ ლელა სტურუა - თსა-ს აფილირებული პროფესორი და მრჩეველი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განვითარების მიმართულებით და ნუკა მაღლაკელიძე - თამბაქოს კონტროლის სპეციალისტი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კონსულტანტი. სტუმრებმა ისაუბრეს თამბაქოს მავნებლობაზე, ზეგავლენაზე და რისკებზე. ასევე, განიხილეს თუ რამდენად დიდ ზიანს აყენებს თამბაქოს წარმოება და მოხმარება ჩვენი პლანეტის მწირ რესურსებს და მყიფე ეკოსისტემას.

სოფლის ექიმის ექვსი დღე

გვაძლევს თუ არა მედიცინისა და ხელოვნების თანხვედრა კომპლექსური საკითხების გაგების საშუალებას, როგორიცაა სამედიცინო პროფესიონალიზმი? თსა-მ ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ახალი ტრანს-დისციპლინური ხასიათის სტუდენტური ფოტოპროექტი „სოფლის ექიმის ექვსი დღე" დაიწყო. პროექტის მიზანია სტუდენტებმა ფოტოგრაფიის მეშვეობით აღბეჭდონ სოფლის ექიმების ყოველდღიურობა და სამუშაო პროცესი, წარმოაჩინონ მათი როლი და მნიშვნელობა. აღნიშნული პროექტი თსა-ს საშუალებას მისცემს გაიგოს, თუ რამდენად იმოქმედებს ეს გამოცდილება მომავალი მედიკოსების პროფესიონალიზმზე, ექიმის კომპეტენციების (CanMeds) გათავისებაზე, სწავლისადმი მოტივაციის გაზრდაზე და ზოგადად, მათ კეთილდღეობაზე. პროექტს ხელმძღვანელობს ტრანსდისციპლინური გუნდი - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და კომუნიკაციის სპეციალისტები და ფოტოგრაფი.

სისხლის დონორთა მსოფლიო დღე

აკადემიის სტუდენტების ინიციატივით, თსა სისხლის დონორთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს წელსაც შეუერთდა. დონაციაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

პოსტერული კონფერენცია

თსა-ს ეზოში, დებატების კლუბისა და სამეცნიერო კლუბის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სტუდენტების პოსტერული კონფერენცია გაიმართა - “ორალური კონტრაცეპტივები და სიმსივნე”. მონაწილე სტუდენტებმა თემატური პოსტერების სახით წარმოადგინეს აქტუალური კვლევები. პრეზენტაციების დასრულების შემდგომ, გაიმართა დისკუსია.



ღია კარის დღეები თსა-ში

თსა-ში ყოველ წელს ტარდება ღია კარის დღეები აბიტურიენტებისთვის. აკადემიამ აპრილსა და მაისში მედიცინით დაინტერესებულ აბიტურიენტებს უმასპინძლა. მათ მონაწილეობა მიიღეს სიმულაციურ ტრენინგში "ერთი დღე კლინიკაში“ და სრულიად უსაფრთხო გარემოში სამედიცინო სიმულატორებსა და მულაჟებზე ჩაატარეს სამედიცინო პროცედურები. ჯამში, 2022 წელს 100-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიცნო თსა.

კურსდამთავრებულთა კლუბი

თსა-ს დაარსების დღიდან 2500-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოსა და საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში, უნივერსიტეტებში და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, გადაიხედა არსებული კონცეფცია და თსა-ში ჩამოყალიბდა კურსდამთავრებულთა კლუბი. ის გააერთიანებს თსა-ს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს საერთო მისიის შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებას და თემაზე ორიენტირებული აქტივობების წარმართვას.

თსა-ში IFMSA წარმომადგენელი სტუდენტების კომიტეტი

თსა-მ მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) წარმომადგენელი სტუდენტების ახალი ნაკადის შერჩევა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ერთი თვის განმავლობაში კლინიკური სტაჟირების მიზნით წავიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში (ევროპა, თურქეთი, სამხრეთ ამერიკა, აზია). თსა-ც მასპინძლობს საერთაშორისო სტუდენტებს.

IFMSA არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) შვილობილი საერთაშორისო, არასამთავრობო სტუდენტური ორგანიზაცია, რომელიც მილიონზე მეტ მედიკოს სტუდენტს აერთიანებს. 2018 წლის დეკემბერში თსა ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

სტუდენტური ცხოვრება

სტუდენტური არჩევნები

სტუდენტთა უპრეცედენტო ჩართულობით, წარმატებით ჩატარდა სტუდენტური არჩევნები! შედეგად, სრულად განახლდა სტუდენტური აკადემია და შეირჩნენ სტუდენტების წარმომადგენლები კურიკულუმის კომიტეტში და მრჩეველთა საბჭოში.

გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისათვის

აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა განვითარებას სამეცნიერო კუთხით. თსა აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესებში, როგორც Erasmus+, ასევე, ბილატერალური თანამშრომლობების ფარგლებში სტუდენტებს აძლევს მობილობის შესაძლებლობას. მიმდინარე წლის ივლისში, Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 4 სტუდენტი იმყოფებოდა ვილნიუსისა (ვილნიუსი, ლიეტვუა) და მაზარიკის (ბრნო, ჩეხეთი) უნივერსიტეტებში. 2022 წლის აგვისტოში კიდევ 19 სტუდენტი გაემგზავრა კლაიპედას უნივერსიტეტში (კლაიპედა, ლიეტუვა) ერთ თვიან კლინიკურ პრაქტიკაზე, ხოლო 22-მა სტუდენტმა ათათურქის უნივერსიტეტში (ერზურუმი, თურქეთი) სამ კვირიანი კლინიკური სტაჟირება გაიარა.

ბლოგები

2022 წლის აპრილიდან თსა-მ დაიწყო ყოველთვიური ბლოგების გამოქვეყნება. მკითხველს ბლოგებს სთავაზობენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

- პირველი ბლოგით, თსა-ს ასოცირებულმა პროფესორმა, მაკა ზარნაძემ მკითხველს პროექტი "მედიცინა და ხელოვნება" გააცნო.
https://tmablogger.blogspot.com/2022/06/blog-post.html

- თსა-ს კურსდამთავრებულმა და ახლა უკვე გუნდის წევრმა, საიფ რუსტუმმა საკუთარი გამოცდილება გააზიარა.
https://tmablogger.blogspot.com/2022/06/saif-rustum-coordinator-of-study.html

- ერთ-ერთი ასეთი თსა-ს მე-5 კურსის სტუდენტის, ადანა ჯოის ემენიქეონუს ბლოგია, რომელიც მედიცინის სტუდენტის თვალით, სწავლის პროცესში დანახულ დაბრკოლებებსა და სტრესის მართვას ეხება.
https://tmablogger.blogspot.com/2022/06/who-am-i-i-am-adanna-nigerian.html

- კიდევ ერთი სტუდენტი, რომელმაც საკუთარი დამოკიდებულება გაგვიზიარა მედიცინის მიმართ, თსა-ს ინგლისურენოვანი მედიცინის მე-4 კურსის სტუდენტი, ადიტია სრიდჰარ აჭარიაა. გაეცანით მის ბლოგს სახელწოდებით "როგორ დავუახლოვდი მედიცინას?"
https://tmablogger.blogspot.com/2022/07/adithya-sridhar-acharya-tma-student.html

სტუდენტური ცხოვრება

საერთაშორისო სტუდენტების გამოსაშვები ღონისძიება

თსა ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამას 2012 წლიდან ახორციელებს. 2022 წლის ივნისში პროგრამა კიდევ 47-მა საერთაშორისო სტუდენტმა დაასრულა. მათ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია უკვე ოფიციალურად მიენიჭათ. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გამოსაშვები ღონისძიებით აღინიშნა. ღონისძიებაზე სტუდენტებმა ტრადიციისამებრ ჰიპოკრატეს ფიცი დადეს.

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება

თსა 1992 წლიდან წარმატებით ახორციელებს ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამას - სამკურნალო საქმე. 2022 წლის ივლისში გაიმართა 2021-2022 წელს კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება. საზეიმო ვითარებაში ჰიპოკრატეს ფიცი კიდევ 74-მა კურსდამთავრებულმა დადო და მათ უკვე ოფიციალურად მიენიჭათ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია.

SINCE
1992